ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (18420) ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1982 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲥᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მიმდინარე ხუთწლედისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მთავარი ამოცანაა სახალხო მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაცია, ზოგადეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავების მაქსიმალური შემცირება, ხოლო ცალკეული პარამეტრების მიხედვით — საშუალო საკავშირო დონის გადამეტება. დასახული მიზნის, ეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო მაჩვენებლის მიღწევის, საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მაგისტრალური გზა, უწინარესად და უმთავრესად გადის შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გადიდებაზე.

ისიც ითქვა, რომ შრომის ნაყოფიერებით განსზომება კონკრეტული შრომის შედეგიანობა, ეფექტიანობა. შრომის ნაყოფიერების ზრდა რესპუბლიკის ეკონომიკის, მთელი სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ხერხემალი, საფუძველი და საძირკველია.

ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა ძვრები. შარშან მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება, როგორც ცნობილია, 3,7 პროცენტით გადიდდა, რაც გეგმით და ვალდებულებით გათვალისწინებულზე მეტია და ერთი პუნქტით სჭარბობს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ეს უდაოდ კარგია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით რესპუბლიკა ჩამორჩება და იგი საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 85,3 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით არასახარბიელოდ გამოიყურება შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით მშენებლობა და სოფლის მეურნეობა.

რა მდგომარეობაა წლეულს ამ მხრივ რესპუბლიკის მრეწველობაში: შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა მთლიანად მრეწველობაში, აქედან თვის მონაცემებით, 103,5 პროცენტით შესრულდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 104 პროცენტი. გეგმა და ვალდებულება კი შესაბამისად 103,1 პროცენტსა და 103,3 პროცენტს ითვალისწინებდა. საგულისხმოა ისიც, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 78,8 პროცენტი, მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებით კი 68 პროცენტს ვარაუდობდნენ.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მოპოვებულ საერთო წარმატებაში ყველამ ერთნაირი ნვლილი როდი შეიტანა. შრომის ნაყოფიერების გეგმებს (სასაქონლო პროდუქციაზე გაანგარიშებით) თავი ვერ გაართვა 81 საწარმომ. აქვე დავძენთ, რომ შარშან შესაბამის პერიოდში მსგავს საწარმოთა რიცხვში საგრძნობელად მეტი — 114 შეადგინა. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ მიმდინარე წლის იანვარ-იგნისში შრომის ნაყოფიერების დონე 277 საწარმომ შეამცირა.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო, დამზადების, კვების მრეწველობის სამინისტროების, „სამტრესტის“ და „საქრაის“ საწარმოებში, ამ მხრივ სასაყვედურო არიან საკავშირო დაქვემდებარების მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტებიც—„საქქვანახშირის“, „საქელექტრომანქანის“, „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებების, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ცხინვალის ელექტროგენერაციული მანქანების, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ახმეტის ბიოქიმიური, გორის შპალების საფეხენი ქარხნები, მადნეულის სამთომამდიდრებელი და თბილისის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატები, ზოგიერთი სხვა საწარმო.

შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობაც, როცა მეურნეობის ახალ სისტემაზე გადასული საწარმოები სასაქონლო პროდუქციაზე გაანგარიშებით ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ სამაგიეროდ ამ მაჩვენებელს ნორმატიულ წმინდა პროდუქციაზე გაანგარიშებით ამცირებენ. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა, მაგალითად, თბილისის გაზქურების ქარხანაში, სადაც სასაქონლო პროდუქციაზე გაანგარიშებით შრომის ნაყოფიერებამ 103,5 პროცენტი, ხოლო ნორმატიულ წმინდა პროდუქციაზე გაანგარიშებით — 99,3 პროცენტი შეადგინა, თბილისის საზინკლო-სამაბეჭდო ინსტრუმენტების ქარხანაში ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 103,2 და 97,7 პროცენტი, ქუთაისის სანარმოო სამკერავლო გაერთიანებაში — 110,9 და 90,2 პროცენტი, სოხუმის სამკერავლო ფაბრიკაში — 101,4 და 98,9 პროცენტი. ასეთივე შეუსაბამობაა მანვის ღვინის ქარხანაში, აჭარის საკონსერვო კომბინატში, თბილისის № 14 სამშენებლო ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში და სხვა საწარმოში.

რაც შეეხება „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებას, ცხინვალის ელექტროგენერაციული მანქანების, თბილისის საიუველირო, ქუთაისის ორკვლინიკიის სახელობის საავტომობილო, კოლეჯოის სამრეწველო საშენ მასალათა ქარხნებს, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატს, ბათუმის სამკერავლო საწარმოო გაერთიანებას და ზოგიერთ სხვას, მათ კიდევ უფრო მეტად „გამოიჩინეს“ თავი: შეამცირეს შრომის ნაყოფიერების დონე როგორც სასაქონლო, ისე ნორმატიულ წმინდა პროდუქციაზე გაანგარიშებით.

ამგვარად, შრომის ნაყოფიერების დონე ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია და ვერ უზრუნველყოფს წარმოების მოცულობის ზრდის საჭიროო ტემპს. ამის მთავარი ფაქტორი კი, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე ითქვა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლის, მეცნიერებისა და ტექნიკის გეგმაზომიერი განვითარების შეუფასებლობაა. გაერთიანებაში, ქარხნებში, ფაბრიკებში, კომბინატებში, სადაც არ სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებები, იქ არ ახორციელებენ მექანიზაციასთან და ავტომატიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, სრული დატვირთვით არ იყენებენ დანადგართა შესაძლებლობას, არ იცავენ მანქანათა პარკის განახლების, რემონტის ვადებს, თავის დროზე არ ნერგავენ წარმოებაში მნიშვნელოვან რაციონალიზატორულ წინადადებებს, ნაკლებად ზრუნავენ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამასთან ერთად აღნიშნულ საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სრულ კონტროლს არ უწევენ წარმოების ეფექტიანობის ზრდის პროგრამების რეალიზაციას, სათანადოდ ვერ რაზმავენ მშრომელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც ცნობილია, მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ერთობლივი სახოგადოებრივი პროდუქტის წარმოება 30 პროცენტით, ეროვნული შემოსავალისა 34 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციისა 31 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ცხადია, ეს საამატო ამოცანა ძირითადად შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების გზით უნდა გადაიჭრას. ამაში, გარდა სხვა ღონისძიებებისა, მნიშვნელოვნად უნდა დაგვეხმაროს ხელის შრომის შეცირების კომპლექსური პროგრამის უფრო რეალიზაცია. კომპლექსური პროგრამის შესრულება შარშან დაინყო და საკმაოდ წარმატებითაც. ახლა მთავარია არ შევჩერდეთ მუშაობის ტემპი ამ მიმართულებით, დავუწესოთ მას მტკიცე პარტიული კონტროლი.

სულ ცოტა ხანიც, და ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. შეუნელებლად უნდა ეიბრძოლოთ, რათა ბრიგადებს, საამქროებს, სანარმოებს, გაერთიანებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ დევიზად შრომის ნაყოფიერების ზრდა გახდეს, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიერ მეცხრე და მეათე ხუთწლედებში მოპოვებული წარმატებანი მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია. გაეუფრთხილდეთ რესპუბლიკის პრესტიჟს, ყველაფერი ეიღონოთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე განხორციელებისათვის, შემოქმედებით მიუდგეთ საქმეს, ეამრავლოთ მიღწევები.

რეზერვების გამოვლინება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა!

ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲙᲘ ᲕᲘᲥᲔᲜᲔᲑᲗ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ მინერალური წყლებით მდიდარი რესპუბლიკაა. ამჟამად ალრიცხული 2000-ზე მეტი სხვადასხვა სიმძლავრის მინერალური წყარო. სპეციალისტების სარეიენტაციო გამოთვლიერებით, ჩამოსასხმელად ვარგისი მინერალური წყლების დებიტი წამში 2 კუბურ მეტრს შეადგენს.

წლევანდელი მონაცემებით, რესპუბლიკაში ნაწილობრივ შესწავლილი და ალრიცხული 78 პერსპექტიული მინერალური წყარო, აქედან ათვისებულია და გამოიყენება მხოლოდ 16.

საქართველოს მეტ წილ მინერალურ წყლებზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა (ბორჯომი, ზვარე, ნაბეღლავი, საირმე, უწერა და სხვა). მინერალური წყლების ჩამოსხმას რესპუბლიკაში ამჟამად აწარმოებენ საქართველოს სსრ კავის მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „საქმინერალებს“ და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოოები.

მინერალური წყლების საუცხოო სამკურნალო და კარგმა ორგანოლეპტიკურმა თვისებებმა განაპირობა მათი სამრეწველო ჩამოსხმისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენების ზრდის სწრაფი ტემპი.

საქართველოს მინერალური წყლები, როგორც სამკურნალო საშოგადო, დიდად პოპულარულია მოსახლეობაში. მოეზდავად ამისა, რესპუბლიკაში არსებული მინერალური წყლების გამოყენებას დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და ამიტომაც მათი ჩამოსხმა და სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება სრულიადაც არ ასაბამს ამ შესაძლებლობებს, რომლებიც ამ მიმართულებით გვაქვს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს მინერალური წყლების ათვისება და მისი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, უკანასკნელი 10-წლის მანძილზე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში მინერალური წყლების წარმოება გადიდდა 3,9-ჯერ, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 3,6-ჯერ, ყაზახეთში — 2,7-ჯერ, ყირგიზეთში — 11,9-ჯერ, საქართველოში კი ამავე პერიოდში მინერალური წყლების ჩამოსხმა მხოლოდ 2-ჯერ გაიზარდა. უფრო მეტიც: მეათე ხუთწლედის მანძილზე მინერალური წყლების ჩამოსხმის მოცულობა, ნაცვლად დაგეგმილი ზრდისა, შემცირდა 10,1 პროცენტით, მათ შორის „ბორჯომის“ წყლისა — 23,9 პროცენტით. საქართველოს ნვეერითი წილი საბჭოთა კავშირის მინერალური წყლების წარმოებაში 1960 წლის 21 პროცენტიდან 1980 წელს 17,8 პროცენტამდე შემცირდა. ეს კი გამოწვეულია არსებული რესურსების არადანაკმაყოფილებელი გამოყენებით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სათანადო სიმძლავრეებს არსებობის პირობებში 1980 წელს რესპუბლიკაში დამტკიცებული წყლის რესურსებით შეიძლებოდა ჩამოგვესხა 900 მილიონ ბოთლამდე მინერალური წყალი. ფაქტობრივად კი ჩამოესხა 397 მილიონი ანუ შესაძლებლობის 44 პროცენტის! ამჟამად სრულიად არადამაკმაყოფილებელია მიტარბის, ბოლნისის, ავადჰარის, ყაზბეგის და სხვა წყაროების გამოყენება.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ მინერალური წყლების წყაროების შესაძლებლობათა თვისების ასეთი დაბალი დონე, უპირველესად, დაკავშირებულია ამ წყლების ჩამოსასხმელად საჭირო სამძლავრეების უკონლობით და, ნაწილობრივ, არსებული საწარმოო სიმძლავრეების არასაკმარისი გამოყენებით.

შარშან საქართველოს სსრ მინერალური წყლების ჩამოსასხმელ საწარმოებში სიმძლავრეთა დაბალი ტექნიკური დონე. ამ მხრივ საქმე ეკარგებოდა ბორჯომის, ნაბეღლავის, ბაკურიანის, ზვარეს, ნაბეღლავის, ბაკურიანის, ზვარეს, ნაბეღლავის, ბაკურიანის, ზვარეს

სტუმრად სოფლის მშრომელებთან

კასპი. მინდვრებში თავიანთი გზა მათ თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ დაიწყეს. და ყველგან, სადაც ჩაიარა პურის ყანების ყვითელ ფონზე გამოკვეთილმა ითმა წითელმა კომბაინმა „ნივამ“, კარგი კვალი დარჩა — ისინი უკიდურესად მოკლე დროში იღებენ მოსავალს კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობის ყანებში ისე, რომ ერთი თავთავიც არ დაკარგულა.

ასე იყო სიღნაღის რაიონში, სადაც საქსახსოფლტექნიკის მექანიზატორთა ძალები ზეიქნენ ეს ბრიგადა და საიდანაც დაიწყო მისი ხანგრძლივი რეიდი. ასე იყო წითელწყაროსა და ყვარლის რაიონებშიც. ახლა უხვი მოსავლის ოსტატები რაზმი დაბანაგდა საგარეჯოს რაიონის პატარძეულის სამეურნეობათშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მიდგურებზე. აქედან მთი გზა გაგრძელდება ქართლის მეურნეობებში, შემდეგ კი ეს ძნელი გზა წავა ზემოთ — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონების მაღალი მთის ზონის მეურნეობებში, სადაც თავთავები ეს-ეს არის ძალას იკრეს.

რაზმში 35 კაცია. აქ არიან ჭაბუკებიც და მოხუცებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს პრაქტიკით დამტკიცონ ჭკის დროს შუშობის ახალი ფორმის ეფექტიანობა — ერთი დამკვრელური ბრიგადის ძალებით უზარმაზარ ყონ დიდ ფართობზე პურის მოსავლის აღება მაღალნაყოფიერად და უმცირესი დანაკარგებით, ქმედითი დამპრიცა გაუწეონ მეურნეობებს, რომლებიც ვერ ამთავრებენ ჭას აგროვადებში. თუ თავდაპირველად ამ იდეას ზოგი, ცოტა არ იყოს, ირონიით ეკიდებოდა, ახლა ოფარავის შერჩენია სკეპტიციზმი: იგი ჩაიძირა კალოებზე დაბავეებულ მარცვლეულში, რომელიც, ეს მობილური ბრიგადა რომ არა, შეიძლებოდა დაკარგულიყო კიდეც.

სიღნაღის პურის მოსავლის ამღები მექანიზებულ ექსპერიმენტულ ბრიგადად წოდებული ამ კოლექტივის შუშობის ტემპს ბასსიოთვის რამდენიმე ციფრი: თითოეული კომბაინის გამომშვავება დღეში 30 ჰექტარს აღწევს, საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი კი ოთხ-ხუთ ჰექტარს შეადგენს. ბრიგადამ პური უკვე აიღო სამი ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე — ეს თითქმის ორჯერ აღემატება ჩვეულებრივ ვადას!

რაზმი პრაქტიკულად არ გამოდის მინდვრიდან: აიღებს თუ არა მოსავალს ერთ უბანზე, წინასწარ შედგენილი გრაფიკის თანახმად მიიჩქარის სხვა ყანაში, სადაც პური უკვე მოსაკვლია, კოლმეურნეობას აწ აკლია საკუთარი ძალები მის ასაღებად.

29 ივლისს რაზმის შუშობის გამოცდილებას გაეცნენ ამხანაგები გ. ნ. ეფუქიძე, ჯ. ი. პატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე. მათთან ერთად იყვნენ პოეტ-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ზ. ფავლავაძე, საქართველოს სსრ რესპუბლიკური გაზეთების და საკრებულოების ხელმძღვანელები.

მათ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარე ე. ბ. სარიმელი და პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. მეზრიშვილი.

როგორია შუშობის ასეთი ფორმის უპირატესობა? რა ახალ ბრიგადის მამოძრავებელი ძალა? ეფექტიანია ეს ბრიგადის ყოლა — კონცენტრირებულობა. ტექნიკური საშუალებების, კომბაინების, სატვირთო ავტომანქანების გარდა, რაზმს აქვს მოძრავი სახელოსნო სათადარიგო ნაწილების კომპლექტით, ხოლო რადიოკავშირი სოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებებთან შესაძლებლობას იძლევა ოპერატიულად მიიღონ კვანძები და დეტალები, დაამყარონ კონტაქტი სხვა დამპრიც სამსახურებთან. რაზმს აქვს აგრეთვე მოძრავი საცხოვრებელი ვაგონები, სასადილო, ამბანოკი კი. ასეთი პირობები რაზმს ფართო შესაძლებლობებს აძლევს ნაწგრძლივი და მორეული გადადგომებისათვის.

მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე, ორანაკლად დიდმნიშვნელოვანია — მატერიალური. ყოველი დამშავებული ჰექტარისათვის კომბაინერს, მის თანაშემწეს ერიცხებიან ფულადი ფურცლები. ეს ფასი ოდენობის ფულად თანხა. იგი შესაბამისად იზრდება ზეგეგმითი ჰექტარების დამშავებისათვის. გაჩდა ამისა, რაზმის ყოველ წევრს ენაბება ძირითადი ხელფასი საფუძვლიანად. და კიდევ, მთელი საშუშოს ხარისხოვანი შესრულებისათვის მექანიზატორი ნატურით იღებს მარცვლეულს. კომბაინერის, მისი თანაშემწის, მძღოლის ხელფასი დამოკიდებულია შრომის საბოლოო შედეგებზე. ასე რომ, თითოეული დაინტერესებულია ნაყოფიერი მუშაობით. ახლა კი სიტყვას ვაძლევთ ბრიგადის წევრებს.

ე. ჯალიაშვილი, ბრიგადირი: ბრიგადის დაკომპლექტებისას ჩვენ არ ვეცდილვართ მარტო მაღალკვალიფიციური მექანიზატორების გაერთიანებას. გამოცდილ კომბაინერებთან ერთად ახალგაზრდებიც ბევრი გვყავს. ასე რომ ანალოგიური რაზმის შექმნა ყოველ რაიონს შეუძლია.

ზ. ბოციერიძე, პატარძეულის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი: მე და ჩემი ვაჟი სოსო წყვილად ვმუშაობთ. მან ახლახან დაამთავრა საშუალო სკოლა, სურს გახდეს კვალიფიციური მექანიზატორი. ასეთ ბრიგადაში მუშაობა კი, სადაც ყოველი საათი, ყოველი წუთი აღირიცხება, — შესანიშნავი სკოლაა დამწყები კომბაინერისათვის.

ვ. პაროლოვი, საგარეჯოს რაიონის ოდესმნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერი: ჩვენი ყოველდღიური მუშაობა ყამირის დიდი პურისათვის ბრძოლის დაძაბულ დღეებს მაგონებს. ყოველი ჩვენგანი თავგამოდებით მუშაობს, ერთსულოვან ოჯახად ვცხოვრობთ: ერთად გამოვდგართ სამუშაოზე, საღამოობით კი ტელევიზორს მივუსხდებით ხოლმე. ყამირზე ყაზახეთის ტურგაის ოლქში ვმუშაობდი, ვმეგობრობდი სოციალისტური შრომის გმირთან ბ. დოვგიკთან, რომელიც ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა. აქ კი ბრიგადის 35-ვე წევრი ჩემი მეგობარია.

ბ. მიჩიანაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობის კომბაინერი: კომბაინერთა საშუალო გამომუშავებამ ჩვენთან ჰექტარზე 18 ცენტნერს მიაღწია. ეს ცოტა როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადად ჩაშორჩენილ მეურნეობებში ვუშუშობთ. მაგრამ ჩვენი ამოცანაა მიეაღწიოთ მანქანების კიდევ უფრო მეტ გამომუშავებას, რათა სამშობლოს ბეღელში დავაბინაოთ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული.

რედაქციისაგან:

ექსპერიმენტი, რომელიც საქსახსოფლტექნიკის ექსპედიტორებმა შემოგვთავაზეს, ჯერ მზოლოდ ძალას იკრებს, მაგრამ უკვე ცხადია: იგი მთლიანად და სავსებით გაამართლებს იმედს. უფრო მეტიც, თუ პრობლემას რამდენადმე უფრო ფართოდ შეეხედავთ, გაიკვეთა სიახლის ქმედითობის სხვა ასპექტებიც. და მთგან მთავარი, მორალურისა და ზნეობრივის გარდა, ის არის, რომ ყველას გული შესტკივა საერთო საქმისათვის — ეს გახლავთ წმინდა ეკონომიური ასპექტი. რესპუბლიკაში 1400 კომბაინია, მაგრამ ეს აშკარად არ კმარა. ამის გამო ყოველ ჰექტარზე მარცვლეულის დანაკარგები 5-6 ცენტნერს შეადგენს. ეს რაოდენობა რომ რესპუბლიკის მასშტაბზე გადავიყვანოთ! მობილური მექანიზებული ბრიგადების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ მეცრე ტექნიკური საშუალებებით გადაკრიან ჭკის დროს დიდი მასშტაბის ამოცანები, თანაც მაღალხარისხოვნად და მუშობის სწრაფი ტემპით, ისახავს ერთ მიზანს — გაიზარდოს მშრომელთა წვლილი ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

• • •

იმავე დღეს მექანიზატორთა სტუმრები ეწვივნენ გარდაბნის რაიონის ჯანდაბის სანონლის საბჭოთა მეურნეობას. ეს მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ჯანდაცვლები, რომლებიც მუშაობის პროგრესულ ხერხებს იყენებენ და ზრუნავენ საკვები ბაზისათვის, კარგ შედეგებს აღწევენ საქონლის სუქებაში, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში. ახლა საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს ჯოგის კომპლექტაცია ახალ რეპროდუქტორში. კოსტრომის ოლქიდან აქ ჩამოყავთ ჯიშიანი ბბორეების პარტიები. აქ მათ აჯავრებენ ფრანგულ ჯიშთან და იღებენ პიბრიდს, რომელიც გამოირჩევა ხორცის დიდი გამოსავლიანობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს მეურნეობის ფერმები. გაეცნენ ნორმების მოვლის პროცესსს, მათ ინტენსიურ სუქებაზე გადაყვანას.

აზსნა-განმარტებას იძლეოდნენ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. ბ. ბოკერია და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ვ. ბებიაშვილი. (საქინფორმი).

ᲐᲮᲚᲝ ᲙᲝᲛᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ. ჯიდში (ხაუდის არაბეთი) მუშაობა დაამთავრა არაბული ქვეყნების ლიგის ლიბანის საკითხთა სპეციალური კომიტეტის სხვეამ, მასში მონაწილეობდნენ ქუვეიტის, ლიბანის, სირიის, საუდის არაბეთის ხაგარო საქმეთა მინისტრები, ალეპოს წარმომადგენელი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკური განყოფილების გამგე ფ. კადუმი, აგრეთვე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი შ. ჭლაბი.

შ. ჭლაბმა წაიკითხა შეზვედრის მონაწილეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომიტეტმა დაგმო ლიბანში შექმნილი მდგომარეობის ყველა ასპექტი და კომიტეტის ყველა წევრის სრული თანხმობის საფუძველზე განაცხადა, რომ საჭიროა ახლანდელ ეტაპზე მოქმედება წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

შეწყდეს ცეცხლი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ გამოიცხადოს თავისი გადაწყვეტილება გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები ბეიროუთდან, ამ გადაადგილების გარანტიები და ლტოლვილთა ბანაკების უშიშროების გარანტიები განისაზღვროს ლიბანის მთავრობისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მორიგებით; განხორციელდეს ბეირუთისა და მისი გარეუბნების ბლოკადის მოხსნის ღონისძიებანი ისრაელის ჯარების გაყვანის გზით; ლიბანის მთავრობამ ყოველი ღონისძიება იხმაროს ბეირუთისა და მისი გარეუბნების მეცხვრეზლების, მათ შორის „პალესტინის ლტოლვილთა ბანაკის უშიშროების „ზრუნველსაყოფად; საერთაშორისო ძალებმა მონაწილეობა მიიღონ ბეირუთისა და მისი გარეუბნების უშიშროების უზრუნველყოფის პროცესში, არაბულმა სახელმწიფოებმა განაახორციელონ საჭირო პოლიტიკური ღონისძიებანი, რათა

ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲠᲯᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ

დაიბარონ ლიბანს მიიღწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს № 508 და № 509 რეზოლუციების მოლონაად შესრულებას. ეს რეზოლუციები, როგორც ცნობილია, მოუწოდებს ლიბანში სამხედრო მოქმედების შეწყვეტისათვის და მოითხოვს ისრაელისაგან „დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანონ თავისი შეიარაღებული ძალები ლიბანის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებს გარეთ“.

კომიტეტმა დაადასტურა არაბული სახელმწიფოების გადაწყვეტილება მიაღწიონ ლიბანის წინააღმდეგ სოხნისტთა აგრესიის აღკვეთისა და ტოაგედიის შეწყვეტის, რომელსაც განიცდიან ლიბანელი და პალესტინელი ხალხები.



ᲡᲙᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲐᲣᲬᲘᲜᲔᲑᲔᲓᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ 7 ᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲨᲕᲘᲓᲘ წლის წინათ, 1975 წლის 1 აგვისტოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 35-მა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ჰელსინკში ხელი მოაწერეს თათბირის საბოლოო აქტს. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში შეჯამებულია მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური შედეგები, დადასტურებულია ძალის პოზიციის და „ცივი ომის“ პოლიტიკის უსაფუფოობა და მავნეობა, დასახულია ომის ახალი შესაძლებლობანი, რომ ევროპამ მტაცეც მშვიდობისა და ურთიერთხელსაყრელი თანაშშრომლობის კონტინენტად იქცეს.

დოკუმენტის ღირძია იმ პრინციპების დეკლარაცია, რომლებთაც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ ერთმანეთთან ურთიერთობაში ეკონომიკური და სოციალური სისტემების, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად.

ეს პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა, სუვერენიტეტისათვის დამახასიათებელი უფლებების პატივისცემა, ძალის გამოუყენებლობა, საზღვრების ურღვევობა — მომავალი ევროპისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრინციპი, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, დავის მშვიდობიანი გზის მოწესრიგება, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიის და რწმენის თავისუფლების პატივისცემა, ხალხთა თანასწორუფლებიანობა და იმის უფლება, რომ თვითონ განაგებენენ თავის ბედს, სახელმწიფოთს შორის თანაშშრომლობა, საერთაშორისო სამართლის ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

განვლო 7 წელიწადში საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყველი ღონეს ახმარდნენ ამ პრინციპთა განხორციელ შესრულებას, აგრესიის თავიდან აცილებლად სიმედო საფუძვლის შექმნას, კონტინენტზე ურთიერთნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას, მშვიდობის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის გარდაქმნას. საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ გამლიტული შეიარაღების ლიკვიდაციაა და განიარაღების, ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრის ამოცანა პრაქტიკულად ეყდებოდეს სახელმწიფოთა შორის შეთანხმებათა გზით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამავე პერიოდში მკვეთრად გამოიკვეთა სრულიად საწინააღმდეგო მიმართულება საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლის სულისჩამდგმელი ამერიკის იმპერიალიზმია და მას საფუძველად უდიეს ვალებული შეიარაღების განგრძობა, მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის შექმნა, წარმოება და დაგრვება.

იმპერიალისტთა, უწინარეს ყოვლისა, რეიგანის ადმინისტრაციის მიზანი ნათელია: დაარღვიონ არსებული სამხედრო წონასწორობა სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, ეარშავის ხელშეკრულებასა და ნატოს შორის, ძალის პოზიციიდან თავს მოაბეჭონ თავიანთი ნება-სურვილი სხვებს, მათ შორის მოლაპარაკების მაგიდასთან.

ცხადია, ასეთი ავბედითი ზრახვები უკიდურესი საფრთხის წინაშე აყენებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ეაშინაკრნინა და ნატოს აგრესიულ წრეებს სურთ დასავლეთ ევროპა ახალი ამერიკული რაკეტების სასტარტო მოედნად აქციონ. პენტაგონში ამუშავებენ „შეზღუდული“ ბირთვული ომისათვის მზადების მზაკვრულ გეგმებს.

ამიტომ საერთაშორისო ვითარების ესოდენ გამწვავების პირობებში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპის სამოლოო აქტი, მისი პრინციპების განუხრელი დაცვისათვის ბრძოლა.

სადღეისოდ მსოფლიოსა და ევროპის უშიშროების ბედი ბეგრწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტს სამხედრო დარგში დაძაბულობის შენელების პრობლემა.

საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ მოლიანად განთავისუფლდეს ევროპა როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ამასთანავე ჩვენ ბეგრჯერ განგვაცხადეთ, რომ თუ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს არ აძლევს დასავლეთს, საბჭოთა კავშირი მზად არის მათი მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცირების შესახებ მოლაპარაკებისათვის. ეს პოზიცია პრაქტიკული ნაბიჯებით არის დადასტურებული: ჩვენმა ქვეყანამ ცალმხრივი წესით შეწყვიტა სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის რაკეტების შემდგომი განლაგება.

ასევე არსებით როლს ასრულებს წარმატებული მოლაპარაკებისათვის საბჭოთა მხარის ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, მისი კონსტრუქციული პოზიცია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, უბირთვო ზონების შექმნის საკითხებში და სხვა.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს რეიგანის ადმინისტრაცია კონსტრუქციული მოლაპარაკებისაგან საბორკაეს პოლიტიკას უპირისპირებს. თვეების მანძილზე ამერიკის დიპლომატია თავს არიდებს ევროპაში ბირთვული იარაღის საკითხის საქმიან განხილვას, დრო გაპყავს და ნატოს ქვეყნებში „პერშინგ-2“ რაკეტებისა და ფრთიანი რაკეტების განლაგებისთვის ემზადება. ამასთან აყენებენ ახსურდულ მოთხოვნებს საბჭოთა კავშირის ცალმხრივი ბირთვული ბარიერის თაობაზე. ეაშინატონის მიერ ფართოდ რეკლამირებული „ნოლოვანი ვარიანტი“ მხოლოდ სსრ ბჭოთა კავშირის საშუალო სიშორის საშუალებების შემცირებას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ნატო სულ ცოტა ორმაგ უპირატესობას მიიღებდა საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებლების და საშმაგ უპირატესობას ბირთვული საბრძოლო შუტების რიცხვის მხრივ. ამრიგად აშკარაა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მისწრაფება მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას ბირთვული ებთან შედარებით.

სასუბრო ცხადია, რომ შეთანხმება ევროპაში ბირთვულ იარაღის, ისევე როგორც სტრატეგიული შეიარაღების, საკითხში, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მხარეთა თანასწორობის და თანაბარი უშიშროების, ფუძემდებლური პრინციპის ბაზაზე დაცვის საფუძველზე, რაც მთლიანად შეესაბამება ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის ფორმასა და შინაარსს.

ჰელსინკის ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერის 7 წლის თავს რომ აღნიშნავენ, ევროპის ხალხები გმობენ კოხფრონტაციისა და დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრის კურსს, რომელსაც ეაშინგტონ ახორციელებს. მათ მიაჩნიათ, რომ ევროპაში უშიშროების განმტკიცების და თანაშშრომლობის განვითარების ერთადერთი სწორი გზა ჰელსინკის საბოლოო აქტია ფორმასა და შინაარსს.

ჰელსინკის სულისკვეთების დაცვა — ეს ნიშნავს ბარამტკბილი დავამთაროთ მადრიდის შეხვედრა, დავაგვირგვინოთ იგი გასაწყვეტლებით ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ევროპის კონფერენციის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განეკუთვნებიან ამ ევროპოთარებ განსაზვავებული საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა შშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს, შშვიდობისადმი თვით ევროპის ხალხების მისწრაფებასა და მათს პრაქტიკულ მოქმედებაზე. იმის კი, რომ ასეთი მისწრაფება სულ უფრო ძლიერდება, ნათლად მოწმობს ომის საწინააღმდეგო გამოსლოთა მძლავრი ტალღა, რომელშაც კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ. ჯიდში (ხაუდის არაბეთი) მუშაობა დაამთავრა არაბული ქვეყნების ლიგის ლიბანის საკითხთა სპეციალური კომიტეტის სხვეამ, მასში მონაწილეობდნენ ქუვეიტის, ლიბანის, სირიის, საუდის არაბეთის ხაგარო საქმეთა მინისტრები, ალეპოს წარმომადგენელი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკური განყოფილების გამგე ფ. კადუმი, აგრეთვე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი შ. ჭლაბი.

შ. ჭლაბმა წაიკითხა შეზვედრის მონაწილეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომიტეტმა დაგმო ლიბანში შექმნილი მდგომარეობის ყველა ასპექტი და კომიტეტის ყველა წევრის სრული თანხმობის საფუძველზე განაცხადა, რომ საჭიროა ახლანდელ ეტაპზე მოქმედება წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

შეწყდეს ცეცხლი, პალესტინის



● საფრანგეთი

ᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

250 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა საერთო ეროვნულ მშვიდობის მარშში, რომელიც ამბობენ. დიდი ხანია არ ახსოვს ასეთი გრანდიოზული მანიფესტაცია საფრანგეთის დედაქალაქს (სურათზე). უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ მანიფესტანტები მონპარნასის ბორცვიდან ბასტილიის მოედნისაკენ. ყველა ასაკის, პროფესიისა და განსხვავებული რწმენის დემონსტრატებს მიჰქონდათ მრავალრიცხოვანი ტრანსპარანტი, რომლებზეც წარწერილი იყო: „არ გვინდა რაკეტები, არ გვინდა ნეიტრონული ბომბი!“, „წინ აღუდგეთ რეიგანის პოლიტიკას — ომის პოლიტიკას!“, „მოლაპარაკეობა — განიარაღებას!“.

აპშ-საქინფორმი ფოტო.

ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝᲗ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ მოსკოვში გაიმართა საზოგადოებრიობის კრება, რომელიც მიეძღვნა ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ხელმოწერის მეშვიდე წლისთავს. მომხსენებელმა — საბჭოთა კავშირის ევროპის უშიშროებისა და თანაშრომლობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შატიკოვმა და ორატორებმა სავსებით და მთლიანად დაუჭიეს მხარი სსრ კავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსს, რომელიც თანამიმდევრულად ესწრაფვის ჰელსინკის მორგებათა განხორციელებას.

კრების მონაწილეებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოლიტიკა, რომელიც შეიარაღების ზრდის ახალ-ახალ პროგრამებს ახორციელებს, ცდილობს გადაქცეოს დასავლეთ ევროპის ქვეყნები ახალი ამერიკული რაკეტების სასტარტო მოედნად, ჩაშალოს სრულიად ევროპის თანამშრომლობის დარგში დადებული დიდმნიშვნელოვან შეთანხმებათა განხორციელება.

კრებაზე მიღებული განცხადება შეიცავს მოწოდებას ევროპის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისადმი მტკიცე, საკადრისი პასუხი გასცეს იმპერიალიზმის საშიშ მილიტარისტულ გეგმებს, დაძაბულობის შენელების ჩაშლის, ყველა დარგში საერთო ევროპული თანამშრომლობისათვის ზიანის მიყენების ცდებს. შეკრებილებმა მხარი დაუჭიეს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა კონსტრუქციულ პოზიციას მიდრეული შეხვედრაზე. (საკდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნების მოამლეობასთან ერთად, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება, იზრდება ამერიკის მონოპოლიების შეწირულება მათთვის სასურველი კანდიდატების საარჩევნო ფონდში.

ამას ისინი აკეთებენ ეგრეთ წოდებული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტების მეშვეობით, რომელთა რიცხვი ქვეყანაში ორი ათასს აღემატება. არჩევნების ფედერალური კომისიის მონაცემებით, პოლიტიკური მოქმედების კომიტეტებმა, რომლებიც ბიზნესის ინტერესებს იცავენ, 1981 წლის პირველი იანვრიდან მათთვის სასურველი კანდიდატების ფონდებს „შესწირეს“ 16,3 მილიონი დოლარი. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, წელს შეწირულების საერთო თანხა ერთიორად აღემატება 1980 წლის საარჩევნო კამპანიის მაჩვენებლებს.

ყველაზე აქტიურად მოქმედებენ ნავთობისა და გაზის მონოპოლიები, რომლებმაც შექმნეს 183 პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი. ამ კომიტეტებმა უკვე გაანაწილეს 3 მილიონი დოლარი მათთვის სასურველ დეპუტატებს შორის და სალარონში კიდევ აქვთ 1,3 მილიონი დოლარი. ფული ფულად არ ობარჯება, კონგრესის აწალდეული სესიის დროს ნავთობისა და გაზის მონოპოლიებმა მიაღწიეს მათთვის ხელსაყრელი მთელი რიგი კანონების მიღებას, რამაც გაადიდა მათი მოგება.

ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲠᲯᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ

ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲗᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ 7 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტის სახით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გავრცელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხები გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე ლაბანში და მის გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ.

● ᲛᲝᲖᲐᲛᲑᲘᲙᲘ

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲛᲐᲪᲐᲣᲢᲣ. რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხედრიონმა მოაწყო ახალი შეიარაღებული პროვოკაცია მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც მოზამბიკის სიძფორმაციო საგენტოს აქ გავრცელებულ ცნობაშია აღნიშნული, რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმ

არქეოლოგია და თანამედროვეობა

ეოცეა საუკუნის მეორე ნახევარი ადამიანის კონების, მისი გენიის ბუნებაზე გამარჯვებისა და ზეიმის ეპოქაა. მაგრამ დღევანდელი სოციალი პროგრესის მთელი სიღიადის შეცნობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ თვალს გავადევნებთ ადამიანის ნაზრევისა და ნახელავის განვითარებას მისი პირველი ნაბიჯებიდან — ქვის პრიმიტიული იარაღებიდან დღევანდელი ატომატური მართვის კოსმოსურ მაქანებამდე. კაცობრობას სამ მილიონზე მეტი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ადამიანის გონებას მიეღწია დღევანდელ აზვერვალებამდე. ამ სამი მილიონი წლის მრავალი საიდუმლოს გამომზეურება და მომავალის თაობებისათვის მისი გაცნობა თანამედროვე არქეოლოგიის საპატო ამოცანაა. ამასთან ერთად, დღეს, როდესაც ადამიანი პლანეტის ბატონ-პატრონი გახდა, ჩვენი წინაპრების თითეული ნაბელავი და ნაზრევი ისევე ძვირფასია თანამედროვე ადამიანისათვის, როგორც საკუთარი საოჯახო რელიკვია. ვინ მოთვლის, წარსული ეპოქების მაღალი აზრისა და ხელოვნების რამდენი უბერებელი ძვალი დაუბრუნა აკაცობრობას არქეოლოგის ნიჩაბმა! რა ღირებები ვიქნებოდით დღეს ჩვენ, რომ არ გვქონოდა ნეფერტიტის შშვენერი სახე და მილოსელი ვენერა, კრეტის სასახლეები და მაიას ქვეყნის პირამიდები, პელას მოზაიკები და ფაიუმის ფრესკები, თრიალეთის, ვანისა და მცხეთის ოქრომჭედლობის განსაკეთრებელი ნიმუშები... ძველი ხელოვნების ეს შედევრები ადამიანთა მოდგმის ეიდევ მრავალ თეულ თაობას მოაგვარის ალტაცებას, სულიერად ამაღლებს და გააამაყებს.

არქეოლოგიური მონაპოვარი კი დღეს ითტომ აღელვებს თანამედროვე ადამიანს, რომ რწმენასა და პატივისცემას უღვიძებს ადამიანის გონების, ძალისა და სურვილ, პროგრესის მიმართ.

ამბრად, თანამედროვე საზოგადოებაში არქეოლოგიას მეტად სპატენ მისია აქვს: დღეგანდელ ადამიანსა და მომავალ თაობებს დაუბრუნოს მიწის წიაღში მოქცეული ყველაზე დიდი განძი — ადამიანის ნაზრევი და ნახელავი. ამტომაც არის, რომ არქეოლოგიური ძეგლები საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღებისა და დაცვის საგანია, იგი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დღიდან მისი დაარსებისა.

გრანდიოზულ ახალშენებლობათა ეპოქაში, რომელთა მონაწილეც დღეს ჩვენი თაობაა, განსაზღვრად იზრდება არქეოლოგიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს არქეოლოგიური ძეგლებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. აქ ხომ ყველა კუნჭული, ყოველი გოჯი მიწა საოცრად დაფურსულია არქეოლოგიური ნაშთებით. ამდენად, ახალშენებლობებზე წინასწარი არქეოლოგიური კვლევა-ძიება გადაუდებელი ამოცანაა. ამტომაც, ქართული არქეოლოგია იმთავითვე დადგა სოციალისტურ ახალშენებლობათა სამსახურში. სადაც კი დიდი თუ პატარა მასშტაბის მშენებლობაა, დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა ჩვენი დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭესთან სამშენებლო უბნებზე (უბრალოდ საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ) მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაობები. აქ, დიდმასველზე, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის როსტომ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით გამოავლინა, შეისწავლა და ამით უკვალოდ დაღუპვას გადაარჩინა სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ერთ-ერთი ულველესი პროვინციისათვის. ამტომ, ქინელაქსის შშენებლობის ზონაში განლაგებული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა იმთავითვე საშურ საქმედ იქცა და მას წარმატებით ახორციელებს ქინელის არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რამინ რამიშვილის ხელმძღვანეობით. უკვე გამოვლენილი და აღწერილია რამდენიმე ასეული ძეგლი ქვის ხანიდან მოკიდებული გვიან შუა საუკუნეებამდე. საგანგებად უნდა აღინიშნოს სოფელ ქვემო არანისთან ადმოჩენილი ციცელი სამოთავნი და ახ. წ. III საუკუნის მდიდრული სამარხები, რომელნიც იმეორებენ ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი არმაზისხევის სამარხებში ნაპოვნ ნივთებს. ეკრძოდ, არანისის სამარხებში ნაპოვნია ლალის თვლებით შემკული ოქროს საყურეები და სხვადასხვა გამოსახულებებით მორთული თვლიანი ოქროს და ვერცხლის ბეჭედები, ოქროს ზოდი, ოქროს და ვერცხლის მონეტები, არმაზულწარწერიანი ვერცხლის ფიალები, ვერცხლით მოოქროული სარეცელის ფეხები, რკინის იარაღი, მრავალი მინისა და თიხის ჭურჭელი და სხვ. იქვე ნაპოვნი ახ. წ. III საუკუნის კრამიტით გადახურული ნაგებობათა ნაშთებიც. ამ ადმოჩენის საფუძველზე სასესენი მართებულად ვარაუდობენ სოფელ არანისში არაგვის ერისთავის რეზიდენციისა და საგვარეულო სამარხვანს წინაქრისტიანულ ხანაში.

განსაკუთრებით მრავლად არის ადმოჩენილი და შესწავლილი შუა III-II საუკუნეებით ათარიღებენ, წარმოდგენილია ქვიშაქვის ქვათლილებთა და ალიზ-აგურით ნაგები კედლებსა და კრამიტიანი სახურავის ნაშთებით, წითლად მოხატული შესანიშნავი ქვევრებისა და სხვა ფრაგმენტებით.

ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1975 წლიდან გასაღები „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ანდრო ალფაძის ხელმძღვანელობით. გამოელენწლია ასობით მანამდე უცნობი ძეგლი, რომელთაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ საერთოდ ძველი ქართლის სამეფოს (იბერიის) ისტორიისათვის. საგანგებოდ აღსანიშნავია გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხები სამთავრის ველსა და წერაოანზე, მწრამიველი საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ზაშმა) ფართო არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს აფხაზეთის სამშენებლო მოედნებზე, სადაც უკვე ადმოჩენილი და შესწავლილია ძვ. წ. II-I ათასწლეულების მრავალი ნამისახლარი და სამაროვანი.

დაწყებულია საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური შესწავლაც. სვანეთში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ჩართოლანის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ბრინჯაოს, ანტიკური ხის გალავანი და სხვა ნაგებობათა ნაშთები.

სრულად განსაკუთრებულია სოფელ ნიგეზიანში, ურეკსა და ერკეტაში ადმოჩენილი სამარხი მოედნები, სადაც დადასტურდა მსოფლიო არქეოლოგიაში უჩვეულო (თუ უნიკალური არა) ფაქტი: სამარხებში ასობით სასოფლო-სამეურნეო იარაღის (ბრინჯაოს და რკინის თოხები, სეგმენტები, სახნისები) ჩატანება.

კოხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ბათუმის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტთან ერთად (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ტ. ჩახტინიშვილი) ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ნამოსახლართა არქეოლოგიური შესწავლის შედეგად წარმოჩენილია უძველესი ბინადარი სამეწყაროთმოქმედო საზოგადოება. გამოვლენილია უალრესად საინტერესო და მრავალფეროვანი კულტურული, ეკონომიკური და ეთნიკური ურთიერთკავშირი წინა აზიის უძველეს სამეწყაროთმოქმედო კულტურებთან — საქართველოს ანტიური მონაწილეობა ძველი სამყაროს განვითარების მსოფლიო-ისტორიულ პროცესში.

კვლევის საგნად არის ქეიანი ადრებრინჯაოს ხანის ძვ. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურის“ გენეზისის და პერიოდიზაციის, არეალისა და ლოკალური ვარიანტების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებისა და სხვა პრობლემები.

შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის პრობლემური ლაბორატორია (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ფიცხელაური) იკვლევს მსოფლიო არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი ბრწყინვალე „თრიალეთური კულტურის“ ისტორიის საკითხებს.

გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილების (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. აბრამიშვილი) სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია, არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური ატრიბუცია, ლოკალური კერებისა და ცალკეული არქეოლოგიური კიბეებიანობა (კერამიკა, ლითონის იარაღ-საჯურველი და სამკაული) ანალიზის საფუძველზე, ბრინჯაოს და რკინის ბეტლერგიის განვითარების ეტაპები.

ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებისა (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ფეფიძე) და პალეოეთნობანისტიკის პრობლემური ლაბორატორიის კვლევის ფემატეკა მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ანტიკური ხანის ბრონზის და კოლხეთის პოლიტიკური სისტემები, სოციალური სტრატიფიკაცია, ქალაქები და მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ხელოსნური წარმოება, გლიპტიკა და ნუმიზმატიკა, ანტიკური სამყაროსთან საკავშირო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა.

საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის უალრესად ნაწილურეული და მრავალფეროვანი ასპექტები შეადგენს ვინელის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე შემუშავებული პრობლემური ლაბორატორიის (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. რამიშვილი) კვლევის ძირითად მიმართულებას.

საშუალო საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილება (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯაფარიძე) იკვლევს ქართულ ქალაქებს (დმანისი, რუსთავი, ჯავახეთის ახალქალაქი და სხვა), ნამოსახლარებს, საწარმოო კერებს.

არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხის განყოფილება (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ცქიტიშვილი) მონაწილეობს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სრული კორპუსის მომზადებაში.







ფილმის დაბადება

„ქართული არქეოლოგია ბუზინ, დღეს და ხვალ“ — ასე ეწოდება ახალ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, რომლის პრემიერაც დღეს გაიმართება საქართველოს ტელევიზიით.

15 საათსა და 10 წუთზე სატელევიზიო სტუდიაში მრგვალ მაგიდასთან თავს მოიყრის და ფილმის შექმნის შემოქმედებითს პროცესზე მაუურებლებს ესაუბრება ფილმის დამდგმელი კოლექტივის ერთი ჯგუფი: რეჟისორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე გ. ჭუბაბრია, სცენარის ერთ-ერთი ავტორი გ. ევანია, კომპოზიტორი ი. ბობოხიძე, ფილმის კონსულტანტი, საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ო. ლორთქიფანიძე, პროფესორი თ. მიქელაძე და მწერალი ლ. სანიკიძე.

● ●

ამ ფილმზე რეცენზია დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

მიწისქვეშა საუკუნეები

კოლხეთისა და ეგრისის წარსულისათვის

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ნოქალაქევში (ცხაკაია რაიონი) განაახლა მუშაობა. უკვე რამდენიმე წელია, რაც იგი აქ აწარმოებს გათხრებს და ღირსშესანიშნავ მასალებსაც მიაკვლია, რომლებიც შუქს ჭფენენ როგორც კოლხეთის, ასევე ეგრისის (ლაზეთის) სამეფოების ისტორიასთან დაკავშირებულ ბევრ საინტერესო საკითხს.

არქეოლოგების მიერ მიკვლეულ მნიშვნელოვან ადმოჩენებზე გვესაუბრება ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ნ. ზასაძარაია.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ნოქალაქევში მოპოვებული ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მდიდარი მასალის, იკრეფვე ისტორიულ მონაცემთა გათვალისწინებით, ექსპედიციამ შემდეგი დასკვნა გამოიტანა — ძველი წულლორიციხვის III საუკუნის დასაწყისში ერისთავ გუჯის აქ ციხეგოჯიატგი, რომელიც მაშინდელი კოლხეთის ერთადერთი ცენტრი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ელინისტური ხანის დასაწყისი სანართველოში, ციხეგოჯა გარდა, სხვა ცენტრი თითქმის არა ჩანს.

რამდენიმე წლის წინათ მიგაკვლეიან ძველი წულლორიციხვის III-I საუკუნეთა სამაროვანს, რომელიც დაახლოებით 50 მეტრ სიგანესა და 300 მეტრ სიგრძეზე გაიოხარა. გამოვლენილა მეტად მდიდარი მასალები. აქ ძირითადად ქვევრსამარხებია, მაგრამ მრავლად არის ორმო-სამარხებიც, გათხრების შედეგად დადასტურდა ადამიანთა მსხვერპლად შეწირის ფაქტი, ერთ-ერთ ქვევრში დამარხულს საკმაოდ მდიდრული ინვენტარი აზლდა, — ეტყოფა, იგი შედარებით მაღალ წოდებას მეკუთვნებოდა, ქვევრის წინ მწოლარეს კი არაფერი გააჩნდა. როგორც ჩანს, „ძლერსა ამა ქვეყანისასა“ ტყვე თუ მონაც თან ჩაყოლეს. ეს ფაქტი, სხვა ექსპედიციების აღრეულ მონაცემებთან ერთად მეტად მნიშვნელოვან ცნობას იძლევა ამ შორეული ეპოქის სოციალურ ცხოვრებაზე.

ქვევრსამარხებში, ძირითადად, ადგილობრივი ნაკეთობანი ენახეთ ჩატანებული, მაგრამ იყო უცხოურიც. ამ ეპოქის თითქმის ყველა სამარხში ადმოჩნდა თითო-ოროლა ვერცხლის სამაჯური ცხოველთა თავის სტილიზებული გამოსახულებით. საკმაოდ ბევრი იყო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები, ბეჭედები.

ბასელ სეზონში ნაპოვნია ორი ყველაზე მდიდრული ორმოსამარხი, რომელთაც ქვები ჰქონდა შემოწყობილი და ნახევარ-ქვევრებით იყო გადახურული. ერთი მათგანის გახსნისას, მრავალ სხვა ნივთთა შორის, აღმოჩნდა ,ვარგად მოზრდილი ოქროს საყურეები, სამაჯურები. და ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები — ვერცხლის თასი და ფიალა. ეტყობა, მიეკაკლებელი მეთაბარი ყოფილა, რადგან ჩატანებული ჰქონია მოზრდილი რქის შუბის წვერი და ზალები.

ადგილობრივ ნახელავთან ერთად სანტერესოა ამ სამარხებში მიკვლეული ბერძნული წარმოშობის კერამიკული კანაროსები და ფიალები. მრავლად არის ასევე ეგვიპტური, თუ წინააზიის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ძვირფასი ქვებისა და პასტის მძივები.

ვათხრებისას მრავლად აღმოჩნდა როგორც პირველი ქართული ფულის, ეგრეთ წოდებული, ,ოოლხური თეთრის ნიმუშები, ასევე ვერცხლისა და ოქროს ,ოოლხური ნიმუშები.

დიდი სამუშაოები შესრულდა ქალაქის ციტადელის ტერიტორიაზე. აქ ყველაზე საინტერესო აღმოჩენად უნდა ჩითვალოს ციხის ,ედლების გამაგრების ეშვეათი, გონივრული გადაწყვეტა. მისი ამგები ,ეთოდად ვამოცდილი მშენებელი უნდა ყოფილიყო, — ისეთი როგორც ქალაქის ყველა ნაწილში, აქაც ჩანს მაღალი ხელოვნებისა და ,ეცნიერული ზელოვნება. იგივე სურათს ვხედავთ მთის წვერზე, სადაც აკროპოლისი ყოფილა გამართული.

ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში ხანგრძლივი გათხრების შედეგად გამოვლენილმა ნაგებობებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — ორი დიდი ტაძრის ნანგრევებიდან ერთი IV საუკუნით თარიღდება, მეორე კი — V საუკუნის შუა ხანებით. ამ ,ეკლესიების აღმოჩენის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ,ოცდაერთ, საკლესიო სარეზერვაციო სამუშაოებსაც აწარმოებენ და ამ მონაცემებით ჩატარებული მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა. ,ეგალთა ,ეძრავლესობა კონსერვირებულია, ზოგსაც პირველადი სახე დაუბრუნდა.

ნოქალაქეე-ციხეგოჯა-არქეოლოგიის გათხრები უდიდესი მნიშვნელობისაა, — აქ აღმოჩენილი მასალები საინტერესო ცნობებს შეიცავენ ძველი საქართველოს, ,ერძოდ ,ი ,ოოლხეთის და ,ეგრისს სამეფოების ისტორიაზე.

● ●

სურათებზე: ვერცხლის თასი; ოქროს მძივები; შავლაქიანი ხაზარლი; ოქროს საყურე (ყველა — ძვ. წ. IV-II სს.).

პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე

გვითხვევლებს კარგად ახსოვთ „კომუნისტის“ შარშანდელი პუბლიკაციები „ბედნიერებისა და სთნოების საუნჯე“, რომლის ავტორია პროფესორი ბუხუმ შარაძე. წერილებს ამ სერიაში იგი შეეხო საქართველოსა და ინგლისის კულტურულ ურთიერთობას გასული საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში და გამოაშიშვლა ოქსფორდში დაცული ეორცრომთა არქივში მაკვლეველი არაერთი ახალი და მნიშვნელოვანი მასალა.

ინგლისიდან დაბრუნებისთანავე მკვლევარმა ეურადღება მიაქცია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დოკუმენტებს, საიდანაც გაირკვა, რომ 1920 წლის ივნვარში შემდგარა ქართველ ქალთა კომისია, რომელსაც შეუგროვებია იმ დროის ქურნალ 180.000 მანეთი, რომლითაც შეუძენინათ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII ნაკონი ძველებური ოქროს ჯვარი და სპრეკრად გაუგზავნიათ ოლიეერ ეორცროთის ახულ ნინო ეორცროთისათვის. თბილისში ამ ზამთარს იმყოფებოდა ინგლისელი ქართველო�ს ს ტ ე ბ ი ს ჯ ო ნ ე ს ი. ჯ. შარაძემ ინარკვია შემთხვევით, გაიცნო მას ეს დოკუმენტები და სთხოვა ინგლისში დაბრუნებისას ანდრო და ნინო ეორცროთებს საშოკელით დაედგინა გიორგი მეთორმეტისეული ოქროს ჯვრის ამბავი.

ახლახან გეურამ შარაძემ ინგლისიდან მიიღო სტივენ ჯოონსის ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი, რომლის ეურადგენტებსაც გაგაცნობთ:

„დევიდ ბარტტი და ჩარლზ დაუსეთ ძალიან ქმაეოფილები არიან თქვენთან ერთად მუშაობით. დევიდ ბარტტი სთვლის, რომ ფასდაუდებელი ფაბრიკა გაუწიეთ მარჯორიკა ეორცროთს ეონდს ქოჯაჯიკეთის და სხვათა წერილების ტექსტების გაშეკეთით და გამოკვეყნებით, ვინაიდან ამ ხელნაწერთა ამოკითხვა ინგლისელებისათვის ძალზე რთული და თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. დევიდ ბარტტი აპირებს თქვენი სტატიების თარგმნას ინგლისურ ენაზე.

ანდრო ეორცროთს ეკითხე გიორგი XII-ის ჯვრის შესახებ: მან მიპასუხა, რომ მის დას (ნინოს) მართლაც აქვს ეს ჯვარი... ეფიქრობ, რომ ქართველთათვის დიდ ფასეულობას წარმოადგენს“...

გეურამ შარაძის წერილებს ეფართო გამოხმაურება მოპყეა. მეთხეულები გამოიკვამდნენ ხუთ ვალს, გაზეთის შემდგომი პუბლიკაციები შესებოდა სხვა ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებსა.

მკვლევარმა გაითვალისწინა ეს დაინტერესება და ეურადღება შეიპრა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავთან დაკავშირებულ მასალებზე. ამ თემაზე მუშაობას სახურველი შედეგი მოყვა.

გთავაზობთ პუბლიკაციების ახალ სერიას „პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე“.

ვართალია, გეორგიევსკში საქართველო-რუსეთის მეგობრობის ხელშეკრულება 1783 წელს დაიდო, მაგრამ ამ ორი ერთმორწმუნე მეზობელი სეეერენელი სახელმწიფოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები საუკუნეეი სიღრმეში იკარგება.

გასაკეთორებთ გაეცხოველდა ძმათ შორის კავშირი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-18 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც ჯერ ირნილ მეფისა და შემდეგ ვახტანგ მეექვსის რუსეთში ქართული ინტეელექტუალური ლაშქრითიერთ ჩასვლას (საკმარისია, ამ მხრივ, თუნდაც სულხან-საბას და ვახუშტის დასახელება, შემდეგ კი მათ დავით გურამიშვილიც შეეერთდა) მყარი საძირკველი ჩაუყარა მოსკოვის ქართულ ახალშენს, ოერუსეთ გადოდა გზა საქართველოდან ეერიპისაკენ და პირიქით. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც საკანონმდებლო ქეეყნები, კერძოდ, შეეიცა, რასაც მოწმობს ქართულ-შვედური კულტურულ-ლიტერატურული და ისტორიული ურთიერთობის ამსახველი „ახლადგამოვლენილი მასალები.

* * *

შორეული საქართველოსადმი შეეიცაინი ინტერესის გაღვიძება უკვე მეორდება 1700 წელს პეტრე პირველის უახლოესი თანამებრძოლის, რუსეთის პირველი გენერალ-ფელდეეეტმარშალი ანე რუსეთის არტილერიის პირველი მთავარსარდალის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ნარკვასთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სტოკჰოლმში ჩაყვანის, სადაც მან თითქმის ათი წელი დაპყო (გარდა 1705-6 წლებისა, როდესაც იგი ლინჩოპინგის ციხეში იმყოფებოდა).

1710 წელს კი, როგორც ცნობილია, ერთადერთი ცოცხალად დარჩენილი ეფეის გამოსახსნელად მოხუცი გეორგიევსნასი მამის — არჩილის მრავალგზის თხოვნამ და სიყრმის მეგობრის, რუსეთის ძლევამოსილი იმპერატორის პეტრე პირველის ენერგიულმა ჩარეგამ ბოლოს და ბოლოს ნაყოფი გამოიღო: ალექსანდრე ბაგრატიონი სტოკჰოლმიდან ფინეთის გაემგზავრა, სადაც უნდა მოახდინიყო მისი გაცვლა რუსეთში ტყვედ ჩავარდნილ მაღალი ჩინის შვედ სამხედრო პირებზე, მაგრამ გზაში, ჩრდილოეთ შვეეიის ქალაქ პიტეეში 1711 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

სიბერეგამაწარეულ არჩილს თავისი სახელოვანი შვილის ნეშტის მოსკოეს გადმოსვენება არანაკლებ ტახჯად დაეჯდა, და სიბოლოოდ 1712 წელს, რუსეთისათვის თავდადებული ქართველი უფლისწულის დონის მონასტერში გაჭრილმა პირველმა საფლავმა სათავე დაუდო რუსეთის ძველ სატახტო ქალაქში ბაგრატიონთა და სამშობლოდან ლტოლვილ სხვა მამულიშვილთა ქართულ სასვენეს.

ამგვარად, ჩრდილოეთის ომის (1700-1721) მრავალწლიან ეეპიპეში რეს და ქართველ მეომართა საბრძოლო ეოველგვარ ბრძოლის ისტორიის ფურცლებს ეთოი უშესანიშნავი ქართველის ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდებიც ავსებს...

1700 წლის 19 ნომბერს, ნარკასთან მებრძოლ თანამემამულეთაგან (ბეკან ზაოშეილი და სხვები) ცოცხლად გადარჩენილ უმერნოა ძმის მამამძიე ბაალ გალიაყანიძსა და მოგვიანებით ძასთან ჩასულ ცნობილ ლიტერატორ ბაგრატ სოლოლაშვილთან ერთად, სტოკჰოლმში მყოფი ბარეწყინვალე „პრინც ავ მელიტე“ — „მელიტეკი პრინსეი“, ანე იმერეული პრინცი, როგორც აქ ალექსანდრე ბატონიშვილს უწოდებდნენ, (მამამისი — არჩილ მეფე ხომ მთელი ცხოეელი იმერეთის ტახტის მაძიებლად ითვლებოდა!), საყოველთაო ყურადღებას აპყრობდა. **ამას მოწმობს** თუნდაც უკანასკნელი ხანს (ე. ვეთეიშვილი, ფ. სახარულიძე) გამოკვლეული ქართულ ტაბულაეიერში გამოწყობილი ალექსანდრე ბატონიშვილის ორი ანონიმური პორტრეტი, რომელიც გამოჩენილ შვედ მხატვრებს ... ელოს ბრენერს და მარტინ მოტტენსს შეუსრულებიათ (აქვე ვებეკდავთ ალექსანდრე ბატონიშვილის მოიტენსისეულ პორტრეტს, რომელიც „კომუნისტში“ 1977 წლის 14 დეკემბერს იყო



1. „პრინც მელიტე“, შვედი მოგზაური

და ვახტანგ მეექვსე



ბაზზეა ბად-კინინგენი

ნ. ბაფრინდაშვილი დაფინაურდა

მოგადაკაკ ქალთა“ მსოფლიო პირველობის საზონათმორისო შეჯიბრებაზე, რომელიც ბად-კისინგენში (გფრ) მიმდინარეობს, გადმართა ბოლოსწინა, მეთოთხმეტე ტურის პარტიები. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი დაუკავშირდა ბად-კისინგენს, ა. რა გვაცნობინონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა რუნინელი პოგორეეენი, ხუნდის (გფრ) და ლემბჩკოს (ბულგარეთი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ხოლო სემიონოვა-ბეკერ (პოლანდია) პარტია საყაიმოდ ბოზეკიანად გადადო. ბოლო ტურის წინ გაფრინდაშვილს 11 ქულა დაუგროვდა და დაწინაურდა. ამმოცევნო ადგილებზე ორიან ხუნდი და ლემბჩკო — 10,5-10,5 ქულა, სემიონოვა — 10 (1 გადადებული), კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 10, ბ. ლიტინსკაია — 9,5, ბოგორეკენი — 9 ქულა. დღეს ბოლო ტურის პარტიები გათამაშდება. ამჟერად გაფრინდაშვილს მეტოქე იქნება ხუნდი.

სამი მატჩი

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის ორი ლენდრაული მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა — თბილისის „დინამო“ 2:3 (თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს შენგელაიამ, სვანაძემ, ცაცამ; მოსკოველთაგან — ჩესნოკო